საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

საკონფერენციო თემა:

სტალინური არქიტექტურა საქართველოში

ხელმძღვანელი: ელენე კალანდაძე

სტუდენტი: ოთარ ღარიბაშვილი

მაგისტრატურის I კურსი

2014წ.

სტალინური არქიტექტურა, სტალინური კლასიციზმი ან სტალინური ამპირი – ტერმინი, რომელიც დაერქვა საბჭოთა არქიტექტურას, დაწყებული 1933 წლიდან, ბორის იოფანის "საბჭოების სასახლის" პროექტის ოფიციალური დამტკიცებიდან, 1955 წლამდე, როცა ნიკიტა ხრუშჩოვმა დაგმო გასული ათწლეულების გადაჭარბებულობა და დაშალა საბჭოთა კავშირის არქიტექტურის აკადემია.

ამპირი, ანუ "იმპერიის სტილი" – ისტორიულად მხატვრული სტილია. პირველად ჩამოყალიბდა საფრანგეთში მე-19 საუკუნის დასაწყისში (1799-1855წ.წ.) ნაპოლეონ ბონაპარტის პირველი იმპერიის პერიოდში. ამპირისათვის საფუძვლად იქცა ძველი რომისა და საბერძნეთის მხატვრული მემკვიდრეობა. გადმოჰქონდა იქიდან არქიტექტურული და პლასტიკური მოტივები დიდებულებისა და სამხედრო ძლიერების განსასახიერებლად (დიდი სიბრტყეები, მონუმენტური ფორმები, მასიური პორტიკები, ემბლემატიკა არქიტექტურულ დეტალებში), რისი მეშვეობითაც ამტკიცებდა იმპერატორის განდიდების იდეას. ამ სტილმა პირველ პლანზე დააყენა პათოსი და თეატრალური დიდებულება. სტილმა დიდხანს არ იარსება და შეწყვიტა არსებობა თავის პირველ თაყვანისმცემელ ნაპოლეონ ბონაპარტესთან ერთად.

ყურადსაღებია, რომ ნაპოლეონის მიერ დაპყრობილმა არცერთმა ქვეყანამ არ აღიარა ეს სტილი. მხოლოდ ერთმა, მასზე გამარჯვებულმა რუსეთმა, მიიღო ნებაყოფლობით "იმპერიის" ანუ ამპირის სტილი და ამით თითქოს შეამზადა კიდეც საფუძველი მომავლისათვის.

1933 წლიდან დამკვიდრდა "სტალინური კლასიციზმი", სტალინური არქიტექტურა. ამასთან ერთად ქართველი არქიტექტორების წინაშე დაისახა ამოცანა – მოვიყვანთ ციტატას: "საბოლოოდ დაამკვიდრონ ახალი ქართული არქიტექტურული სტილი, რომელშიც ორგანულად იქნება შერწყმული ყოველივე მოწინავე, რაც კი ქართველი ხალხის მდიდარ სამშენებლო პრაქტიკას მისი ხანგრძლივი ისტორიული გზის მანძილზე შეუქმნია".

სტალინური არქიტექტურა, როგორც ასეთი არ არის არქიტექტურული სტილი თვითმყოფადი ფორმებით. უფრო ზუსტად ეს ტერმინი აღწერს

არქიტექტურას, რომელიც იქცა სახელმწიფოს ძლიერების გამოხატვის საშუალებად. პარადული მონუმენტალიზმისა და ტრადიციული მოტივების კომბინაცია გახდა ზოგადად არქიტექტურაში საბჭოთა წვლილის ყველაზე მკაფიო ნიმუში.

1933-1941 წლები – ეს ადრეული სტალინიზმია. ამ პერიოდის პირველი წლები აღინიშნება ცალკე მდგომი შენობების პროექტებით. თვითეული პროექტი დამუშავებულია დამოუკიდებელ ობიექტად, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ არ დაეთმო ყურადღება ადგილის ფაქტორს. თვითეულმა მათგანმა აქ განაშენიანების განვითარებას შემდგომში გარკვეული მიმართულება მისცა.

დღეისთვის ნაკლებადაა შესწავლილი ამ პერიოდის არქიტექტურა, ხოლო ამ სივრცეში ცარიელი ადგილების შევსება თავის მხრივ ხელს ხელს შეუწყობს შენობების სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებას.

კითხვებზე, როგორ შეიძლება შეფასდეს აღნიშნული პერიოდის არქიტექტურა, რა არის მასში ღირებული, რა შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულად და მომავალში გამოსაყენებლად, პასუხის გაცემის მიზნით წარმოვადგენთ რამდენიმე ობიექტს თბილისში, ძირითადად საზოგადოებრივ შენობებს.

ქალაქის ძველი რაიონის ცენტრალურ ნაწილში აშენებული **<u>ბალნეოლოგიური კურორტის არქიტექტურა</u>**. ამ შენობის სპეციფიკურობა ძველი ქალაქის განაშენიანებაში ჩადგმით იყო გამოწვეული, მის გარშემო ძველი პატარა მოცულობის სახლებია, პირდაპირ-მტკვრის პირას კლდეზე გადმომდგარი აივნიანი სახლები და იქვე მეტეხის დიდებული ტაძარი. მის უკან მთაზე შეფენილია თბილისური აივნიანი სახლები, ვიწრო შუკებში გამოსული ფასადებით, იქვე სულ ახლოს მთაზე აღმართული იყო ნარიყალას ტაძრის ნანგრევები(ამჟამად აღდგენილია).

ძველი ქალაქის ეს მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე არქიტექტორებს შენობის მასშტაბს და ხასიათს კარნახობდა. შენობა სიმაღლეში რომ არ წასულიყო და არ დაერღვია არსებული მასშტაბი ის გრძივი მიმართულებით განავითარეს.შენობის მთავარი ფასადი გადაჭიმული ქუჩის საკმაოდ დიდ

მონაკვეთზე კარგადაა ჩაწერილი ქუჩის დინებაში. გეგმის, ფასადების საერთო კომპოზიცია კლასიციზმის საფუძველზეა დამყარებული, რაზეც მიანიშნებს შიდა ეზო, ერმაგი კოლონადა და სხვა (ბ. კარბინი, ი.ჟიტკოვსკი, მ.კალაშნიკოვი. 1937). გადაწყვეტილია უმთავრესი ამოცანა - შენობა ორგანულადაა ჩაწერილი ძველი ქალაქის ანსამბლში, მიუხედავად მისი დიდი მოცულობისა და სივრცის აღქმისას არ იფარება ქალაქის პეიზაჟი, ამასთან, ყურადსაღებია, რომ აღნიშნული ძველი ქალაქის რეკონსტრუქციაში ერთ-ერთი პირველი ნაბიჯთაგანია.

სივრცის მნიშვნელობის და არაჩვეულებრივობის შეგრძნებისა და მასშტაბის განსაზღვრის საუკეთესო მაგალითია თბილისის "დინამოს" სტადიონი – ყოფილი სტადიონი. <u>სტადიონის</u> არქიტექტურა მარტივი და სადაა ძირითადად წარმოადგენდა ორნამენტით მოვარაყებულ შელესილ ყრუ კედლის სიბრტყეს (არქიტექტორი ა. ქურდიანი, კონსულტანტი ა. კალგინი, 1937). ტრიუფალური თაღით დაგვირგვინებული სამხრეთის შესასვლელი ქმნის აქცენტს და საზეიმო განწყობილებას. ავტორი სიფრთხილით უდგება ფერით გადაწყვეტას. ფასადები ღია ოქროსფრად შელესილი, ხოლო სვეტები მოთეთრო-მოყვითალო ტონის იყო. ორნამენტები, სვეტის თავები, კრონშტეინები, კარნიზი ხელოვნური ქვისგან ჩამოსხმული. აღსანიშნავია,რომ მისასვლელი ქუჩები მაყურებელთა დატვირთვა ევაკუაციის კარგ პირობებს ქმნიდა. ყოველივე ეს დღეს წარსულშია.

<u>**იმელის შენობა**</u> რომელიც მთელ კვარტალს იკავებს , კარგად პასუხობს რუსთაველის პროსპექტის გაბარიტებს და საერთო სივრცის აღქმას (ა. შჩუსევი, 1938.). აქაც თავს იჩენს კლასიციზმის ელემენტები, როგორიცაა დიდი ათსვეტიანი პორტიკი და წახნაგოვანი მაღალი სვეტები, გორელიეფებით დაფარული რელიეფური ფრიზი (მოქანდაკეები ი. ნიკოლაძე, თ. აბაკელია), ქვით შემოსილი კედლები. მუქი ფერის ცოკოლი და სვეტები ხაზს უსვამს შენობის იდეურ მნიშვნელობას. თუმცა ის არ მიიჩნევა "ზეამარლებულად".

სხვადასხვა ნიშნულზე მდებარე რუსთაველის გამზირისა და კვალის ქუჩის ერთმანეთთან დასაკავშირებლად ავტორმა გამოიყენა ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი ღობე-ქუჩა. რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ხუთსართულიანი შენობა ტერასებად ეშვებოდა კვალის ქუჩაზე. აქ ის სამი სართულით გამოდიოდა და არ არღვევდა ქუჩის განაშენიანების მასშტაბს, ტერასები კი იძლეოდა მისი აღქმის საშუალებას მარცხენა სანაპიროდან.ეს იყო ადრე. 2006 წელს "იმელს" მოეხსნა ძეგლის სტატუსი,რამდენჯერმე გაიყიდა, შემდეგ "გამოიშიგნა.საბოლოოდ გადაეცა ინვესტორს კვალის ქუჩაზე დანგრეული მოცულობის სანაცვლოდ ცათამბჯენის ასაშენებლად.

“მე დიდი ინტერესით ვმუშაობ თბილისში”- წერდა აკად. ა. შჩუსევი “ვცდილობ დიადი კლასიკური კულტურის განგრძობა ვიპოვო ქართულ ხელოვნებაში და ამ საფუძველზე შევქმნა თანამედროვე არქიტექტურის ახალი სახეები.”

“არქიტექტორმა უნდა გაითვალისწინოს გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული პირობები მოცემული ადგილისა, ჰავა, ყოფის თავისებურებანი.....” ეს ციტატა კარგად გამოხატავს არქიტექტორის შემოქმედების კრედოს.

<u>პავილიონი ფუნიკულიორის ზედა პლატოზე</u> იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ერთდროულად ეკუთვნის მთაწმინდის პარკს და ქალაქს (ზ და ნ. ქურდიანები, ა. ვოლობუევის მონაწილეობით. 1938.). ხალისიანი და იმპოზანტური მსუბუქი პავილიონური ხასიათის მოცულობა,მაღალი,მოხდენილი კოლონიადით მზითა და ჰაერით. ქალაქის პანორამა, მშვიდი პეიზაჟი იჭრება „ინტერიერის“ყოველ მხრივ გახსნილ გარემოში.აქ არქიტექტურა და ბუნება ავსებენ ერთმანეთს. არაერთხელ აღინიშნა,რომ “ნაგებობის არქიტექტურაში ნათელია მდიდარი ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ათვისების შემოქმედებითი ცდები, მთავარი თემა- კოლონადის,თაღნარის მაღალი ორდერი.”ითვლება, რომ ეს იყო “კლასიკური ორდერის” ე.წ. მაღალი ორდერის შექმნის ერთ-ერთი დასაშვები და ისტორიულად გამართლებული ცდა აღნიშნავს არაერთი ხელოვნებათმცოდნე (კინწურაშვილი, თ.საყვარელიძე)

<u>საქართველოს პავილიონი მოსკოვში</u> სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე ქმნიდა საზეიმო, ამაღლებულ განწყობას და კარგად გამოხატავდა ნაგებობის დანიშნულებას (ა. ქურდიანი. 1939 წ.). არაერთხელ აღინიშნა, რომ “პავილიონის მხატვრულ ფორმებში თუ დეკორში სიმბოლურად აისახა ქართული საცხოვრისის გარკვეული ნაწილები, პავილიონის ეზო-ატრიუმი ოდა-სახლის ეზოსთან ასოცირდება.ცალკეულ შემთხვევაში არქიტექტორი მიმართავს ტრადიციული საცხოვრისის არქიტექტურული ფორმების ციტირებას – მაგალითად, ინტერიერში “დარბაზის” გადახურვის გამოყენება ხელოვნური განათებისთვის”. მსუბუქი ლაკონური ფორმები, დეკორატიულობა, შიდა ეზოს ფუნქციური დატვირთვა და მაღალმხატვრული გადაწყვეტა. აჟურული კოლონადა, რომელიც შუქ-ჩრდილის საინტერესო ეფექტს იძლეოდა, სამხრეთულობის ხასიათს აძლევდა შენობას. “გამოფენა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ექსპონატების საჩვენებლად იყო მოწყობილი, ტუმაცა თვითონ იქცა ექსპონატად, ქართული ტრადიციული არქიტექტურის სიმბოლოდ.”

კლასიკურ ხუროთმოძღვრულ საფუძველზეა აშენებული კინოთეატრი <u>„რუსთაველი“</u> (ნ.სევეროვი. 1939). შენობა პროსპექტის ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე დგას. მის პირდაპირ ყოფილი პარლამენტის შენობაა, მარცხნივ მუზეუმის შენობა, ხოლო მარჯვნივ-სასტუმრო მდებარეობდა. შენობის არქიტექტურის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა მისი მაღალპროფესიულ დონეზე შესრულება. პროპორციები, ცალკეული დეტალები, ქანდაკებები და მათი ადგილი, კლასიკური ნიმუშის ორდერი, კაპიტელი, კარნიზის ნახატები დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული.

„ წიგნის სახლის“ არქიტექტურას განსაზღვრავს მასიური ორდერის გამოყენება სამივე სართულზე (ნ.ბარათაშვილი, გ.მიქაელიანი. 1939 წ.). შენობა დაგვირგვინებულია კლასიკური ანტაბლემენტით, კარნიზის გადმოწევით კრონშტეინებზე და ეს კომპოზიცია მთლიანად ფარგლავს შენობას. იგი გამოირჩევა კარგი პროპორციებით და ორი ქუჩის გადაკვეთაზე მდგარი მოიარება ამ უკანასკნელთა შემაკავშირებელ რგოლად, ორგანულად ერწყმის მე-20 საუკუნის დასაწყისის შენობას და საერთოდ გარემოს და გარკვეულწილად განაპირობებს კიდეც ამ მონაკვეთის განვითარების მიმართულებას.

ცირკის მშენებლობის საკითხი 1932 წელს დგება დღის წესრიგში (მ.ნეპრინცევი, ურუშაძე,), ხოლო 1940 წლიდან შენობა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თბილისის განაშენიანებაში განსაკუთრებული მდებარეობის გამო. გმირთა მოედნის ანსამბლში იგი ჩართულია მოედნისკენ მიმართული პარადალი კეზეებით. როცა კოსტავას ქუჩიდან ან ვარაზისხევიდან გმირთა მოედნისკენ ვეშვებოდით მისი მკაფიო მოცულობა კარგად გამოიხატებოდა ქალაქის განაშენიანების შორი წერტილებიდან,თუ ცის ფონზე ახლო მანძილიდან იგი დომინანტს წარმოადგენდა მოედნის არქიტექტურულ სივრცით გადაწყვეტაში. მოედნის ადგილმდებარეობა, რთული რელიეფი,თავისებური სივრცე და აქედან გადაშლილი მრავალფეროვანი ხედები სხვადასხვა მონაკვეთზე მას განსაკუთრებულ გამომხატველობას ანიჭებდა (დღეს ეს დაიკარგა). შესასვლელი ხაზგასმულია ორდერით შედგენილი პორტიკით. ამ შენობით იწყება გმირთა მოედნის ორგანიზაცია , რასაც შემდგომში 11-სართულიანი საცხოვრებელი სახლი სტუ-ს პირველი კორპუსის შენობა აგრძელებს.

სტუ-ს პირველი კორპუსის შენობით ფაქტიურად მოხდა მთელი ქუჩის დაპროექტება ზოოპარკის ზემოთ (არქიტექტორი მ. ნეპრინცევი. 1941.). დროის შესაბამისად შენობის ფასადების ფორმები კლასიკური არქიტექტურის საფუძველზეა აგებული, შენობის ზედა ორი სართული დანაწევრებულია პილასტრებით

სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე (მ. შავიშვილი. 1940).შენობის არქიტექტურის ღირსება გამოვლენილია ისეთ პრინციპულ გადაწყვეტაში, როდესაც ახალი არქიტექტურა ადრე აშენებულ, გვერდით მდგომ კლდიაშვილისეულ პირველ კორპუსთან სტილისტურ ჰარმონიულ მთლიანობაშია. მავე დროს ახალს საკუთარი, ინდივიდუალური სახე გააჩნია. ეს ორი შენობა გარკვეულ უწყვეტობას ქმნის. შენობის გეგმა ორგანულადაა ჩაწერილი ქუჩის დინებაში, ის ქუჩის ხაზის მრუდს მისდევს.

"საქნახშირის" სახლი კოშკითა და ქიმით, რომლითაც დაიწყო რუსთაველის მოედნის რეკონსტრუქცია (კ. ჩხეიძე, მ. ჩხიკვაძე. 1954)მშენებლობას წინ უსწრებდა კონკურსი,რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს წამყვანი არქიტექტორები.წარმოდგენილი იყო სულ ათი პროექტი. შენობის არქიტექტურა მოცემული პერიოდის ნათელ ნიმუშს წარმოადგენს.სახეზეა პომპეზურობა.შენობის მთავარი ფასადი გამოდის რუსთაველის პროსპექტზე.პროსპექტის პერსპექტივას ამთავრებს შენობის მასიური კოშკი. აგებობა გამოირჩევა გარემო განაშენიანებისგან მოსაპირკეთებელი მასალის-ბოლნისის ტუფის-თბილი კოლორიტით.ნაცრისფერი

პოლირებული გრანიტით მოპირკეთებული გამჭოლი თაღნარი ქმნის სივრცობრივ გასასვლელს და ქუჩას აკავშირებს შიდა ეზოსთან.ასეთი გადაწყვეტა კარგად ესადგებ სამხრეთის ქალაქის გამომსახველობას.

სტალინის 1946 წლის იდეა გახლდათ მოსკოვის პანორამა მოეფინა ცატამბრჯენებით. კოშკები ედგმებოდა რეგიონალური ცენტრების ნაგებობებს.სწორედ ამ იდეის გამოძახილი იყო "საქნახშირის" სახლის შენობა კოშკითა და ქიმით.

<u>მთავრობის სახლი (ამჟამად ყოფილი პარლამენტის შენობა)</u> ადრე,რუსთაველის პროსპექტზე გამოსული ფასადი, ეზოს ფასადს წარმოადგენდა.წინა კორპუსის მშენებლობის შეცერების გამო მან დროებით მოიპოვა მთავარი მნიშვნელობა.

მდებარეობის მხრივ, ნაგებობა მეტად მოხერხებულად იდგა, ტერასებად გადაშლილი შიდა ეზო, ფართო მისასვლელები,პარადულ იერს ანიჭებდა შენობას.

მთავარი არქიტექტურული მოტივი აქ პროპილეების გამჭოლი ღერძია. არტო საზეიმო კიბეები ტერასებად მიემართება პროსპექტიდან შენობისკენ.

1953 წელს დამთავრდა საქართველოს სსრ მთავრობის სახლის მთავარი კორპუსის მშენებლობა ვ.კოკორინისა და ი.ლეჟავას, (ვ.ნასრაძის მონაწილეობით) პროექტის მიხედვით.

მთელი შენობის ფასადთა არქიტექტურის დეკორატიულ-მხატვრული გამომსახველობა მკაცრი, თავშეკავებული და ამავე დროს ნამდვილად საზეიმოა.აკად.გიორგი ჩუბინაშვილის აზრით "თანამედროვე ნაგებობებში ახლებურადაა წარმოჩენილი ქართული მონუმენტალური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საიმედოთაგანი,ერთ-ერთი ძირითადი ღირებულებათაგანი –კედელი, ქვის მტკიცე კედელი."

და აი ბატონ ვახტანგ დავითაიას გამოხმაურება პარლამენტის შენობის შესახებ: "შენობას აქვს მკაფიო არქიტექტურული რეჟისურა,ის ყველაფერთან ერთად სანახაობრივია,გიწვევს დასათვალიერებლად, ადამიანი გრძნობს სულიერ ამაღლებას,სიამაყეს... შენობა გამზადებულია მნიშვნელოვანი სახელმწიფო რიტუალების ჩასატარებლად, ეს იმდენად ორგანული და ბუნებრივია, რომ გგონია ხუროთმოძღვრებმა რიტუალების ჩატარებაზე ააგეს მთელი შენობა."

ყოველ მნიშვნელოვან ობიექტზე ცხადდება კონკურსი და მშენებლობა ხორციელდება გამარჯვებული პროექტით.

დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ

ეს პერიოდი აღინიშნება ცალკე მდგომი შენობების პროექტებით, ამასთან დიდი ყურადღება ეთმობა ადგილის ფაქტორს, რადგან თითოეული მათგანი გვევლინება შემდგომი განაშენიანებისათვის გარკვეული მიმართულების განმსაზღვრელად.

შენობის გამომსახველობის განმსაზღვრელია კლასიკური არქიტექტურის ელემენტები: არქიტექტურული ორდერი, სართულების ორდერით გაერთიანება, პილასტრები, კრონშტეინები, არქიტექტურისა და ქანდაკება-მხატვრობის სინთეზი. შენობების ფასადებზე ბარელიეფები და გორელიეფები, ინტერიერებში მარმარილო, ძვირფასი ხის მასალა, სხვადასხვა სახის ნაძერწი და სხვა. ქართული ეროვნული მემკვიდრეობისა (თაღი, კედლის სიბრტყეების ორნამენტული დამუშავება, საპირეები და მათ შორის ორნამენტული, შენობათა ქვით მოპირკეთება და სხვა) და დროის შესატყვისი ელემენტების (ერკერები, კოშკები, შპილები, მცირე ზომის აივნები და სხვა) სპეციფიკა და გამოყენების შემთხვევები.

თბილისის ზრდა-გაფართოების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ვაკის ტერიტორია გვევლინება. ამასთან, შენდება ჩელუსკინების ხიდი და გმირთა მოედანი, მთავრდება ბარათაშვილისა და მელიქიშვილის ქუჩების გაფართოება, იქმნება ახალი მოედანი პლეხანოვის, ახლანდელი დავიდ აღმაშენებლის პროსპექტისა და მარჯანიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, ხორციელდება ქალაქის ორი მთავარი არტერიის - რუსთაველისა და პლეხანოვის რეკონსტრუქცია. საფუძველი ეყრება ზოოლოგიურ პარკს და იზრდება მწვანე საფარი ბაღებისა და პარკების სახით, გრძელდება მთაწმინდის კალთებისა და კომკავშირის ხეივნის გამწვანება, ხდება ფუნიკულიორის ზედა პლატოს კეთილმოწყობა.

ჩვენ შემოგთავაზეთ მცირე ექსკურსი თბილისის ობიექტების ჩამოთვლით, წარმოვაჩინეთ ობიექტები, რომლებიც დღესაც არ კარგავენ თავის მხატვრულ იერს. ამასთან მოგახსენებთ, რომ 1956 წლიდან თითქმის ყოველი მათგანი გახდა კრიტიკის ობიექტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) გ. ბათიაშვილი "ჩემი ცხოვრება თბილისურ არქიტექტურაში" 2013წ.

2) T. kvirkvelia "Arxitektura Tbilici" 1985 g.

3) მ. ძიძიგური „არქიტექტურულ-მხატვრული თავისებურებანი არჩილ ქურდიანის შემოქმედებაში". ავტორეფერატი.2003წ.

4) ნ.ჯანბერიძე „ქართული საბჭოთა არქიტექტურა".1980წ.